სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“
CONTEMPORARY LABOUR LAW REVIEW Scientific-Practical Journal

კონცეფცია

ჟურნალი, რომელიც ა(ა)იპ – თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის პერიოდული გამოცემა იქნება და დაიბეჭდება წელიწადში ერთხელ, მოემსახურება სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმის ჩამოყალიბებას შრომითსამართლებრივ სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გასაანალიზებლად, რისთვისაც პროექტში ჩართული იქნებიან თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი სპეციალისტები. ჟურნალი მოიცავს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ შრომის სამართალში არსებულ საერთაშორისო პრობლემატიკას. პრობლემებზე მუშაობისას, პრიორიტეტი მიენიჭება შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდს, გაანალიზდება შრომის სამართალში არსებული თანამედროვე ტენდენციები, ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი მიდგომები, გლობალიზაციის ფონზე არსებული სამართლებრივი რეგულაციების როლი, შრომითი ურთიერთობების მუდმივად განახლებადი რეალობა. გამოცემის მიზანი იქნება მოცემულ სფეროში პრობლემების გამოკვეთა და მათი არა მარტო სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური და სოციალური კუთხით გაანალიზება, ისევე, როგორც დამკვიდრებული დოგმატური შეხედულებებისა და სასამართლო პრაქტიკის ხელახალი გააზრება. ჟურნალში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გაკეთდება ბაზრის კვლევასა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებზედაც პირდაპირ აისახება სოციალური უფლებებისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ლიბერალური მოწესრიგების ჭიდილი. ეს ყოველივე ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებას წაახალისებს და გაზრდის როგორც სამართლის სფეროში მოღვაწე სპეციალისტების, ისე დაინტერესებული წრეების თვალსაწიერს.

ჟურნალი მიიღებს სტატიებს ამა თუ იმ დისციპლინიდან, რომელიც კავშირშია შრომითსამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი გაითვალისწინებს შესაძლებლობას, კვლევამ მოიცვას ზემოაღნიშნული საკითხები, აუცილებელია, რომ თითოეული განხილულ იქნეს შრომის სამართლის თემატურ ასპექტში და დაცული იყოს ჟურნალის იდეურ-კონცეპტუალური მიმართულება.

ჟურნალი თავს მოუყრის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომით შექმნილ სტატიებს: მატერიალურსამართლებრივი, პროცესუალურსამართლებრივი, ემპირიული, იდიოგრაფიული, ისტორიოგრაფიული, კვანტიტატიური (რაოდენობრივი), კვალიტატიური (ხარისხობრივი), სტატისტიკური, სოციოლოგიური და ა.შ. მეთოდით საკითხის დამუშავების კუთხით.

გამოცემა იქნება აკადემიური ჟურნალი, რომელიც ფოკუსირდება სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობაზე, პლურალისტური იდეების გენერირებაზე, მიდგომების მოდერნიზებასა და მხარდაჭერაზე, შრომითი საქმიანობის სამართლებრივი ასპექტების დახვეწა-განვითარების პროცესის ხელშესაწყობად. აპრობირებული მეთოდების გამოყენება, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა და გამოცემის პერმანენტული ხასიათის უზრუნველყოფა აკადემიურ ფორმატში ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფას. სხვადასხვა ასაკისა თუ სტატუსის მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ჩართულობა სამეცნიერო კვლევებს ახალ პლატფორმაზე გადაიყვანს.

ჟურნალის თემატიკა მოიცავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით ურთიერთობებს. სათანადო ყურადღება დაეთმობა დისკრიმანციის აღმოფხვრის მექანიზმებსა და შრომითი უსაფრთხოების კერძოსამართლებრივ თუ საჯაროსამართლებრივ მხარეს, შრომით ურთიერთობებს. პრობლემატიკის ანალიზი შეუძლებელია საქართველოს ევროპული მისწრაფებების გაუთვალისწინებლად და შესაბამისად, ქართული სამართლებრივი სივრცის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულება განსაკუთრებით წახალისდება.

ჟურნალი ისარგებლებს სამრეწველო ურთიერთობების მკვლევარი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტების, ადვოკატების, პროფესიული კავშირების წარმომადგენლების, მეცნიერების, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთა, სახელმწიფო ორგანოებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების და ყველა სხვა დაინტერესებული პირის ინტერესით, ვინც მოწოდებულია, გაეცნოს და იმუშაოს თანამედროვე შრომის სამართლის მიმდინარე საკითხებზე, ასევე განკუთვნილი იქნება მათთვის, ვისაც სურს გაეცნოს პერიოდულ სიახლეებს კანონმდებლობაში, თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში, რომლებიც უკავშირდება შრომით ურთიერთობებს.

ტექნიკური-ორგანიზაციული საკითხები

- **საინიციატივო ჯგუფი** – მუშაობის დასაწყებად, ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს იმ პირებით, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა წინამდებარე კონცეფციის შემუშავებაში, ასევე იმ სპეციალისტებითა და აკადემიური პერსონალით, ვისთანაც მოხდა კონსულტაციების გავლა და საერთო მოსაზრებათა გათვალისწინებით, ერთიანი პროექტის ჩამოყალიბება. შემდგომ პერიოდში კი, საინიციატივო ჯგუფის კარი ღია იქნება ნებისმიერი პირისათვის, რომელთა შერჩევაც სპეციალურად დაკომპლექტებული კვალიფიციურ პირთა წრისაგან მოხდება, დაწესებული მოთხოვნების გათვალისწინებით. კონცეფციის შექმნის ეტაპზე არსებული საინიციატივო ჯგუფიც გაივლის კონსულტაციებს შესაბამის კვალიფიციურ პირებთან, მუშაობის გაგრძელების კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით;

- **ჟურნალის სტრუქტურული სახე** – ჟურნალის მიზანი იქნება კონკრეტულად ისეთი სამართლებრივი საკითხების დამუშავება, რომელთა ირგვლივაც ლიტერატურის სიმწირეა ან/და არსებული ძველი ნაშრომები ამ საკითხებთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყოფს საკითხის ამომწურავად შესწავლას. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკრეტული თემატიკით ავტორები არ იქნებიან შეზღუდული. ამასთან, საინტერესო იქნება, რომ ჟურნალის ყოველი ახალ ნომერზე მუშაობის დაწყებამდე, გარკვეულ ეტაპზე, გამოცხადდეს წინასწარ განსაზღვრული თემატიკა და სწორედ ამ თემატიკის ირგვლივ წარმოადგინონ მათ ნაშრომები. ჟურნალი შინაარსობრივად მოიცავს სხვადასხვა რუბრიკას, რომლებიც განსაზღვრული პრინციპების მიხედვით იქნება ორგანიზებული და რომლებშიც შესაბამისი სტატიები იქნება განთავსებული. გარკვეული რუბრიკები იქნება ძირითადი, ხოლო დროდადრო დაემატება სხვებიც;

- **რეზიუმირება** – ყოველი სტატიის დასაწყისში, ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი იქნება მოკლე აბსტრაქტი, რომელიც მოიცავს: ნაშრომში განხილული თემატიკის მოკლე აღწერილობას; გამოყენებულ მეთოდოლოგიას; თემის მნიშვნელობას; იდენტიფიცირებული და გაანალიზებული პრობლემის ლაკონიურ დახასიათებას; პრობლემის გადაწყვეტის მოკლე აღწერას, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

- **სტატიების შერჩევა** – წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, ავტორების მიერ იქნება წარმოდგენილი სტატიები, რომლებიც შესაბამისი კონკურსის გავლის შედეგად შეირჩევა და შემდგომ, საბოლოო კონსოლიდირებული და რედაქტირებული სახით, დაიბეჭდება ჟურნალში;

- **სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო** – ჟურნალის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საბჭოს არსებობა. ესენი იქნება სათათბირო ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევს ჟურნალის გამოცემის სამეცნიერო მხარეს, ასევე შეასრულებს ამ გამოცემისათვის განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს. კოლეგია და საბჭო დაკომპლექტდება როგორც ქართველი და უცხოელი კვალიფიციური სპეციალისტებისგან, ისე შესაბამისი უნარ-ჩვევისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტებისგან. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, ჟურნალის საორგანიზაციო მხარეს გაუწევენ კოორდინაციას.